

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის
2016 წლის 01 მარტის N02-03/08 ბრძანებით

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
სტრუქტურული ქვედანაყოფის - შიდა აუდიტის სამსახურის
დებულება**

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1.

ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - „მაუწყებელი“) შიდა აუდიტის სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახური არის მაუწყებლის სტრუქტურული ქვედანაყოფი, გათვალისწინებული მაუწყებლის დებულების 3.1.16. პუნქტით.

მუხლი 3.

სამსახური თავის ფუნქციებს წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითდა სხვა სამართლებრივი აქტებით. სტრუქტურული ქვედანაყოფი იცავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღიარებულ ძირითად პრინციპებს და საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კანონიერების, გამჭვირვალობის, საჯაროობის და სამართლიანობის პრინციპებით.

მუხლი 4.

1. სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოსთან კოორდინირებულად.
2. სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს მაუწყებლის სისტემაში მიმდინარე პროცესი და საქმიანობის სფერო.

თავი II

სამსახურის ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები

მუხლი 5.

სამსახური: ახორციელებს დამოუკიდებელ და ობიექტურ საქმიანობას, შედეგად ანალიზებს და აფასებს მაუწყებლის სისტემაში არსებული პროცედურების შესრულებას, კანონმდებლობის მოთხოვნებისა და არსებული სტანდარტების დაცვას, რესურსების ეფექტურად და ეკონომიურად გამოყენებას, ამოცანების ეფექტურ შესრულებას და შედეგად მაუწყებლის დასახული მიზნების მიღწევას;

მუხლი 6.

- სამსახურის ამოცანებს და ფუნქციებს წარმოადგენს:
- ა) მაუწყებლის წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;
 - ბ) მაუწყებლის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
 - გ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;
 - დ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
 - ვ) შიდა აუდიტის ობიექტის (მაუწყებლის სტრუქტურული ქვედანაყოფები) მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით;
 - ზ) მაუწყებლის სისტემაში ხარვეზების გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
 - თ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 7.

- დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:
- ა) შიდა აუდიტის განხორციელებისას მაუწყებლის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან შეუზღუდავად მოითხოვოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და ხელმოწვევად მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა),

მიიღოს მაუწყებლის ნებისმიერი თანამშრომლისგან შესაბამისი ინფორმაცია ან განმარტება. აგრეთვე მოითხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა;

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს მაუწყებლის დირექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით განახორციელოს სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 8.

სამსახური ვალდებულია:

- ა) შიდა აუდიტის დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.
- ბ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არგამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;
- გ) მაუწყებლის დირექტორის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შემოწმების ან/და შესწავლის შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დ) წარუდგინოს ანგარიში მაუწყებლის დირექტორს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, ასევე ნებისმიერ დროს მაუწყებლის დირექტორის დავალებით;

თავი III

სამსახურის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 9.

სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი

მუხლი 10.

1. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მრჩეველთა საბჭოს წინაშე
2. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
 - ბ) წარმოადგენს სამსახურს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;
 - დ) ამტკიცებს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას და წარუდგენს მაუწყებლის დირექტორს.
 - ე) ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება მაუწყებლის დირექტორს.
 - ვ) სამსახურის თანამშრომლებს შორის ანაწილებს მოვალეობებს, აძლევს მათ ზეპირ და წერილობით მითითებებს.
 - ზ) თანამშრომლობს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოსთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას;
 - თ) ასრულებს მაუწყებლის დირექტორის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს;
 - ი) ახორციელებს ამ დებულებით დაკანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
3. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობას დროებით ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.

მუხლი 11.

1. სამსახურის უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი.
2. სამსახურის უფროსის მოადგილე:
 - ა) ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს;
 - ბ) პასუხისმგებელია მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;
 - გ) უფლებამოსილია სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა). შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა;
 - დ) ვალდებულია შიდა აუდიტორული ანგარიშის შედგენამდე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტის შედეგები;
 - ე) პასუხისმგებელია მასზე განაწილებული დოკუმენტაციის დაცვა-შენახვაზე;
 - ვ) ამზადებს პასუხის პროექტებს შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე.

თავი IV

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

მუხლი 12.

სამსახურის დებულების გაუმჯობესება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით, კანონით დადგენილი წესით.